ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2308264

ნომერი: AR1357136

თარიღი : 16.11.2015

გაცემის თარიღი : 24.11.2015

გაცნობის თარიღი : 24.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 9/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალჰუსსაინ ვალეედ ნასსირ ა --- პ/ნ 01301131292
- თბილისი დ. წყნეთი დ.გურამიშვილის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1357136 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ უახლოეს პერიოდში ს. ჩიქოვანის ქ. #9/11-ში #01.10.17.042.025.01.517 საკადასტრო ერთეულზე შპს ,,ფორმენი"-ის მიერ დამონტაჟებული რკინის კარის კანონიერებასთან დაკავშირებით ინფორმაციას და წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობა-ნაგებობაზე (თქვენს მიერ მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
ამასთან გაცნობებთ, რომ ქალაქი თბილისში, ს. ჩიქოვანის ქ. #9/11-ში #01.10.17.042.025.01.517 საკადასტრო ერთეულზე სამსახურის მიერ 2012 წლიდან დღემდე პერიოდში I კლასის კარის მოწყობის ნებართვის გაცემა არ იძებნება.
ამასთან გაცნობებთ, რომ უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის ზედამხედველობისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. დაინტერესებაში არსებული ობიექტის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში საკადასტრო კოდის (#01.10.17.042.025) მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge